



იდეათობის პრობლემასიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელეზი  
და მისი პოლიტიკური და სოციალური განვითარებები

# იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში და მისი პოლიტიკური და სოციალური განზომილებები

მკვლევრები: სოფო ზვიადაძე, დავით ჯიშკარიანი

კვლევის კოორდინატორი: თამთა მიქელაძე  
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

*კვლევა განხორციელდა ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მხარდაჭერილი პროექტის „ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაძლიერება პოლიტიკურ ცხოვრებაში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM).*

## შესავალი

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების აღიარებისა და მათი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ჩართულობის საკითხი საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან და საზოგადოებრივ კონსოლიდაციასთან.

90-იანი წლებიდან დღემდე, სახელმწიფოს პოლიტიკა უმცირესობების მიმართ იცვლება და ვითარდება, თუმცა, ის სრულყოფილად მაინც ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც მულტირელიგიურ და მულტიეთნიკურ სახელმწიფოს აქვს ინტეგრაციის თვალსაზრისით. ასეთი გამოწვევებია: დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა, ფორმალური განათლების დაბალი დონე, დისკრიმინაციის პრაქტიკა და კულტურული იერარქიები.

2014 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 13,2%-ს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. აქედან, ყველაზე დიდი აზერბაიჯანელთა ჯგუფია (6,3%).<sup>1</sup> აზერბაიჯანელების უმრავლესობა კომპაქტურად არის განსახლებული ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ისინი მოსახლეობის 41,75%-ს შეადგენენ.<sup>2</sup>

საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანული თემის ისტორიისა და მათი გამოწვევების შესახებ ცოდნა აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში, ისევე როგორც ფართო საზოგადოებაში დაბალია. ამას მრავალი მიზეზი აქვს, მათ შორის, ენასთან დაკავშირებული ბარიერი, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარიყულობის პრობლემა.

უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკაში აზერბაიჯანული თემის საკითხი, ხშირად, მხოლოდ სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემაზეა დაყვანილი და ინტეგრაციის პროცესში, აღნიშნული პრობლემის ახსნა კვლავ პასუხისმგებლობის თემზე გადატანით

<sup>1</sup> 2014 წლის საყოველთაო აღწერა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური:

საქართველოს მთლიანი მოსახლეობა - 3 713,8; აზერბაიჯანელი - 233,0

<sup>2</sup> გარდა ამისა, აზერბაიჯანელები ცხოვრობენ თბილისში, კახეთში (რეგიონის მოსახლეობის 10.2%). ქვემო ქართლის მოსახლეობის საერთო რაოდენობაა - 423 986. <http://csem.ge/interactivemap/>

ხდება: თითქოს, თავად თემს არ სურს და მათ ვერ შეძლეს სახელმწიფო ენის შესწავლა. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში არსებით პრობლემას სახელმწიფოს მიერ ამ ჯგუფებთან დაკავშირებული პოლიტიკის უსაფრთხოების პარადიგმაში დანახვა და მათდამი, მეტწილად, ელექტორალურ ლოიალობაზე დაფუძნებული მიდგომა წარმოადგენს. სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მცდელობების მიუხედავად, რადიკალური პოზიტიური ნაბიჯები, რომელიც ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ მონაწილეობას, ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებას, განათლების ზრდას, რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფდა, არასათანადოდ იდგმება.

ეთნიკური აზერბაიჯანელების კულტურული იდენტობისა და საქართველოს პოლიტიკურ/ნაციონალურ პროექტში ჩაწერის საკითხი მრავალშრიანია და მისი ანალიზი ისტორიული პერსპექტივის გარეშე რთული იქნება. ამ იდენტობის განსაკუთრებულად ტრავმატული ნაწილია 90-იანი წლების ისტორიული გამოცდილება, რომელიც ულტრანაციონალისტური პოლიტიკური იდეებისა და პოლიტიკური ჯგუფების აღზევებას უკავშირდება.

საქართველოს დამოუკიდებლობიდან დღემდე, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა თემში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ძვრები მიმდინარეობს. ეს პროცესები დაკავშირებულია როგორც შიდა პოლიტიკურ, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკასთან. დღეს, აზერბაიჯანული თემის წინაშე არსებული გამოწვევები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა წლებში გამოკვეთილი პრობლემატიკისგან. ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორი 2010-იან წლებში განათლების პოლიტიკაში განხორციელებული რეფორმების შემდეგ გაჩენილი ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბებაა, რომელსაც განსხვავებული პოლიტიკური ცნობიერება და სოციალური კულტურა გააჩნია. ახალგაზრდები განათლებას იღებენ საქართველოს უნივერსიტეტებში და მშობლებისგან განსხვავებით, ქართულ ენაზე შეუძლიათ კომუნიკაცია. ამ თაობის წარმომადგენლებში მკვეთრად არის გაზრდილი ბმა ქართულ პოლიტიკასთან და საქართველოს სახელმწიფოს იდეასთან. ისინი სულ უფრო კრიტიკულები არიან და გამოხატავენ სურვილს, ჩაერთონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, გახდნენ რეგიონში სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების აგენტები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დღეს, აზერბაიჯანულ თემში კიდევ უფრო ძირეული ტრანსფორმაცია ხდება. კერძოდ, კომპლექსური პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების ფონზე, აზერბაიჯანულ თემში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ადგილი აქვს იდენტობის განსაზღვრისა და კონსტრუირების ახალ პროცესს. ეს პროცესი გამოირჩევა ქართულ პოლიტიკურ პროექტში ჩაწერის ღია ინტერესით და სურვილით და მოითხოვს აკადემიური და პოლიტიკური წრეების მიერ სწორ შეფასებას და ინტეგრაციის პროცესში მის ჩართვას.

სამწუხაროდ, ახალგაზრდების ჯგუფის პოლიტიკური ცნობიერება, რეგიონში არსებული პოლიტიკური ლანდშაფტი და ფორმალური სტრუქტურები ერთმანეთს აცდენილია. თუკი პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების მიდგომები არ შეიცვლება, ამ

აცდენამ, უახლოეს მომავალში, შეიძლება გამოიწვიოს მზარდი სოციალური უკმაყოფილება და იმედგაცრუება.

წინამდებარე დოკუმენტი პირველადი კვლევის შედეგებზე დაფუძნებით მომზადდა და მისი მიზანია, პოლიტიკურ პარტიებში და აგრეთვე, პოლიტიკის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ინსტიტუციაში გაზარდოს ცოდნა საქართველოში აზერბაიჯანული თემის ინტეგრაციის პრობლემატიკაზე. დოკუმენტის მიზანია, ყურადღება გაამახვილოს აზერბაიჯანული თემის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, თემში გაჩენილ თვითიდენტიფიკაციის ახალ პროცესზე და მის პოლიტიკურ განზომილებაზე.

ჩატარებული პირველადი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა თემში ეთნიკური და კულტურული იდენტობის პრობლემატიკის პირველადი შესწავლა, ასევე, იდენტობის კონსტრუირებასთან დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მიზეზების გამოვლენა. კვლევის ძირითადი კითხვები იყო: წარმოადგენს თუ არა იდენტობის „გამოღვიძება“ პროცესს, რომელიც უშუალოდ ადგილობრივ თემში გაჩნდა? ასეთის შემთხვევაში, რა არის ამის გამომწვევი მიზეზები? რა ნარატივებს ეფუძნება ახალი იდენტობა? როგორი თვითაღქმა აქვთ ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს? ასევე, კვლევის ნაწილს წარმოადგენდა იმ სოციო-კულტურული და პოლიტიკური მიზეზების იდენტიფიცირება, რომელიც ზეგავლენას ახდენს იდენტობის კონსტრუირების ან მისი რევიტალიზაციის პროცესზე.

საველე კვლევა ჩატარდა 2018 წლის მარტიდან ივლისამდე. კვლევის სამიზნე ჯგუფების შერჩევაში გათვალისწინებულ იქნა ასაკი, განათლება, ბინადრობა, ინტეგრაციის ხარისხი და ორგანიზაციასთან აფილიაცია. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა: აზერბაიჯანელი ახალგაზრდები თბილისში, მარნეულში, ბოლნისში, გარდაბანში, დმანისში (მიმდებარე სოფლებში); მარნეულსა და თბილისში მოქმედი აზერბაიჯანელთა სათემო ორგანიზაციები; მუსლიმი სასულიერო პირები რეგიონში და რელიგიური ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლები. კვლევის ფარგლებში, მთლიანობაში ჩატარდა 35 ჩაღრმავებული ინტერვიუ (მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისში, დმანისსა და თბილისში) და 2 ფოკუს-ჯგუფი აზერბაიჯანელ სტუდენტებთან თბილისში.<sup>3</sup>

### კონტექსტის ზოგადი მიმოხილვა

აზერბაიჯანულ თემში ეთნიკური, კულტურული თუ ნაციონალური იდენტობის პრობლემატიკაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოში ნაციონალიზმის კონფლიქტურ დისკურსებს. ეს ორი საკითხი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.<sup>4</sup> პოსტ-

<sup>3</sup>კვლევის მიზნების შესაბამისად, გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის რამდენიმე მეთოდი: ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუ, კონტენტ-ანალიზი. სამიზნე ჯგუფის და კვლევის მიზნის მიხედვით, შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია და ინტერვიუს შემთხვევაში, შესაბამისი კითხვარი;

<sup>4</sup>როგორც წესი, მეცნიერები საუბრობენ ნაციონალიზმის პარადიგმაზე: ა) პრიმორდიალისტური/ესენციალისტური ერის გაგება - ერი, როგორც ბუნებით მოცემული ფენომენი, რომლის განმსაზღვრელი მარკერებიც არის ენა, ტერიტორია, ეთნიკურობა, ბ) მოდერნისტული გაგება - ერი, როგორც მოდერნული დროის ფენომენი, როგორც კონსტრუირებული ერთობა, “წარმოსახვითი

საბჭოთა საქართველოში, 90-იანი წლებიდან დღემდე, ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის პროცესში, ორი ნარატივი ეჯახება ერთმანეთს. პირველი, ესაა ეთნიკურ-რელიგიური ნაციონალიზმი (ქრისტიანული კულტურის უპირატესობა, „ქართველი ნიშნავს ქრისტიანს“). მეორე, კი არის მოდერნული ნაციონალიზმის კონცეფცია, რომელიც ინკლუზიური ბუნებისაა და ეყრდნობა მოქალაქეობის პრინციპს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საერთოობის განცდა, განურჩევლად რელიგიისა და ეთნიკურობისა<sup>5</sup>.

საქართველოში, ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის ისტორია საბჭოთა კავშირში ნაციონალიზმის სპეციფიკურ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, რომელიც 'კორენიზაციის' სახელით აღიწერება, რაც ეთნიკური იდენტობებისა და კულტურების წახალისებასა და ხაზგასმას გულისხმობდა<sup>6</sup>. ამავდროულად, საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული იერარქიების („მატრიოშკა ნაციონალიზმის“ პრინციპზე) იდგა, რომელიც, თავის მხრივ, განსხვავებული იყო რესპუბლიკებისა და მმართველობის პერიოდის მიხედვით.<sup>7</sup>

ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულმა ეთნო-რელიგიურმა ნაციონალიზმმა, რომელიც განსაკუთრებით რეპრესიული 90-იან წლებში იყო, მკვეთრი გავლენა მოახდინა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების გაუცხოებაზე. ამ დროს, „ჩვენ“ და „სხვების“ საზღვრის კონსტრუირება, მეტწილად, მტრულ და იერარქიულ შინაარსს ატარებდა<sup>8</sup>. ქრისტიანულ-ქართული ნაციონალიზმის დისკურსში აზერბაიჯანელები ყველაზე ადვილად გამოიძერწა როგორც „სხვები“, ქართული ენის არცოდნის, ისლამის მიმდევრობისა და განსხვავებული ეთნიკურობის გამო. ადგილობრივი თემი ხშირად ჩამორჩენილ, ნაკლებად განვითარებულ სუბიექტად აღიქმებოდა. ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ახალგაზრდის აზრით, ისინი იყვნენ მოთვინიერებული, „გაცხვაროსნებული“ თემი.<sup>9</sup>

90-იან წლებში, მკვეთრად ჩანს ქვემო ქართლის რეგიონის „გაქართველების“ ნიშნები. ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ ახალი პოლიტიკური რეჟიმი ყოველთვის ცდილობს, კოლექტიური მეხსიერებიდან წაშალოს ან/და გადაწეროს მისი წინამორბედი. „მეხსიერების წაშლა“ ყველაზე ხშირად სიმბოლურ ველში ყალიბდება და გამოიხატება ქალაქების, სოფლების, ქუჩების, მოედნების სახელის გადარქმევაში. ასევე, ძველი

---

პოლიტიკური ერთობა“. ჰობსბამის თეზისის მიხედვით, ერი არ არის პირველადი და უცვლელი სოციალური ერთობა. არამედ, ის კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში „იქმნება“ და მისივე ცნობილი სიტყვებით „არა ერები ქმნიან სახელმწიფოებს და ნაციონალიზმებს, არამედ პირიქით.“

<sup>5</sup>სმიტი, ენტონი დ.: ნაციონალური იდენტობა, 2008 გელნერი, ერნსტ: ერებიდანაციონალიზმი, თბ. 2003

<sup>6</sup> ტერიმინი და პოლიტიკა სათავეს იღებს 1920 წლებიდან, როდესაც სსრკ-ში კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, საბჭოთა რესპუბლიკების „აბორიგენი“ მოსახლეობის მხარდასაჭერად, იგულისხმებოდა ეთნიკური უმცირესობები.

<sup>7</sup> განსხვავებულია სტალინის პერიოდის ნაციონალიზმი და პოსტ-სტალინური პერიოდის ნაციონალიზმის პოლიტიკა, Light, Margot: Nationalism and identity in the former Soviet Union, METU Studies in Development, 27 (3-4) 2000, 301-319

<sup>8</sup>საბჭოთა პერიოდში საქართველოში გაბატონებული „ნარცისული ნაციონალიზმი“ აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების და შესაბამისი რეგიონების მკვეთრი იერარქიზებას იწვევდა.

<sup>9</sup> ქამრან მამედოვი. გაცხვაროსნებულები. <https://bit.ly/2B2RxVw> (ბოლოს ნანახია 04/08/2018)

ძეგლების ახლით ჩანაცვლებაში. საბჭოთა სიმბოლიკის შეცვლის პროცესს ქვემო ქართლში უფრო მეტად ნაციონალისტური შინაარსი ჰქონდა. 1990-1991 წლებში, აქ შეიცვალა არამხოლოდ საბჭოთა დასახელებები, არამედ სოფლების აზერბაიჯანული სახელები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმამდეც ერქვა ზოგიერთ სოფელს (მაგალითად, ტალავერი - ყოფილი ფახრალი, ნახიდური - ყოფილი არახლო, ჩაპალა - ყოფილი გოჩულუ). მიუხედავად იმისა, რომ სოფლებისთვის სახელების გადარქმევის ფაქტები დღეს აღარ გვხვდება, აზერბაიჯანული თემისთვის ეს საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას და ახსენებთ მათი იდენტობის „არაღიარების“ პრობლემას.

90-იანი წლების ისტორია აჩვენებს, რომ აზერბაიჯანელების სახით, ქართულ ნაციონალურ დისკურსში შეიქმნა მტრის ხატი - ეთნიკური უმცირესობა, რომელსაც სეპარაციაზე უჭირავს თვალი. ბოლნისის მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანულ თემს დღემდე ახსოვს 90-იანი წლების ძალადობის ტრავმული გამოცდილება. აქ, მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ ულტრანაციონალისტური სენტრიმენტებით და იდეებით გამსჭვალული ეთნიკურად ქართველთა ჯგუფები და განდევნეს ქალაქიდან მკვიდრი აზერბაიჯანელები. კვლევის დროს, ამ ისტორიას აზერბაიჯანელები არ იხსენებენ, რადგან აქვთ შიში, რათა ეს არ გახდეს ახალი კონფლიქტის, ან გაუცხოების წყარო მათსა და ეთნიკურად ქართველებს შორის. ამ თემაზე საუბარს ერიდებიან ეთნიკურად ქართველებიც. ეთნიკურად ქართველთა თბრობაში დღესაც ჩანს 90-იანი წლებში ეროვნული მოძრაობის მიერ რეგიონში „დატოვებული“ ნარატივი. მაგალითად, ბოლნისში მცხოვრები ეკომიგრანტი სვანეთიდან, იმეორებს იმ სიტყვებს, რომელიც ვრცელდებოდა ამ მხარეში 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში: *„ავტონომია უნდათ აზერბაიჯანელებს, ჩვენი დროშა და გერბი გვინდა და დედაქალაქად მარნეული უნდა გამოვაცხადოთ.“*

მოგვიანებით, ნაციონალური დისკურსის განმსაზღვრელი და დამცველი ხდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (სმე)<sup>10</sup>. თუ 90-იან წლებში, ეკლესიის ნაციონალისტური და მისიონერული საქმიანობის არეალი იყო აჭარა, როგორც ჩანს, დღეს, ის აქტიური ხდება ქვემო ქართლშიც. თუმცა, ამ შემთხვევაში, მისი მიზანი არა ქრისტიანობის გავრცელებაა, არამედ მხარის „ქრისტიანულ ტერიტორიად“ სიმბოლური მონიშვნა. ეს გამოიხატება ქვემო ქართლში სამღვდელოების განსაკუთრებულ აქტიურობაში, მუსლიმურ სოფლებში ჯვრის აღმართვის ფაქტებში. ქვემო ქართლში გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საიმჯო ვიდეორგოლი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ხედავს პოლიტიკური ისტებლიშმენტი და ქართული სახელმწიფო რეგიონს<sup>11</sup>. ვიდეორგოლში არ ჩანს არცერთი სიმბოლო, კულტურული არტეფაქტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ აღნიშნულ რეგიონში ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივმა აზერბაიჯანელებმა ქვემო ქართლის

<sup>10</sup> Zedania, Giga: “Nationalismus und Religion in Georgien,” Religion und Gesellschaft in Ost und West, no. 6 (2011): 16–19; Fuchslocher, Eva: Vaterland, Sprache, Glaube: Orthodoxie und Nationenbildung am Beispiel Georgiens, Stuttgart: Ibidem-Verlag, 2010.

<sup>11</sup> ქოქოშვილი, დათო: ქვემო ქართლის საიმჯო კლიპი გუბერნიისგან მხოლოდ ქრისტიანული ძეგლებით, ნეტგაზეთი, <http://netgazeti.ge/news/291333/> ბოლო წვდომა: 11.09.2018

საიმიჯო ალტერნატიული ვიდეო-რგოლი მოამზადეს, სადაც მხარის კულტურა უფრო მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი<sup>12</sup>.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ პოლიტიკის და დისკურსის პოზიტიურ ცვლილებას „ვარდების რევოლუციას“ უკავშირებენ. კვლევის დროს, რესპონდენტები იხსენებენ ყველა იმ ინიციატივას ან საჯარო გამოსვლას, სადაც ისინი დაინახეს და აღიარეს ქვეყნის მოქალაქეებად.<sup>13</sup> აქ, უნდა აღინიშნოს, რამდენად მტკივნეული იყო მათთვის „თათრის“ წოდება<sup>14</sup>: *“ძველად, შვეარდნაძის დროს, თათრებს გვეძახდნენ. ვერ ვიტანდი თათრებს (...)* *მერე სააკაშვილმა შეცვალა და აღარ გვეძახიან ასე”*. რესპონდენტების სიტყვებში ნათლად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის ამაზე პოლიტიკური „რეაგირება“.

დღეს, აზერბაიჯანული თემისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დისკრიმინაციული სახელის „თათრის“ დამახების აკრძალვა, არამედ მათი, როგორც საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეების აღიარება, მათი კულტურული და ნაციონალური იდენტობის განსაზღვრა და პოლიტიკურ პროცესებში თანამონაწილეობა.

### **იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემში - საქართველოს აზერბაიჯანელები vs აზერები**

ბოლო ხანებში, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საკუთარ კულტურულ და ნაციონალურ მიკუთვნებულობაზე მსჯელობა. საჯარო დისკუსიებში ხშირად დგას საკითხი „ვინ ვარ მე? ქართველი, აზერბაიჯანელი თუ „საქართველოს აზერბაიჯანელი“ თუ სრულიად სხვა?!“

საქართველოს აზერბაიჯანელების იდენტობის საკითხი მრავალშრიანია. აზერბაიჯანელთა ახალი თაობა მათი მშობლებისა და ბებია-ბაბუებისგან რადიკალურად განსხვავებულ რეალობაში ცხოვრობს. მათ სოციალიზაციის პროცესს თან ახლდა ქართული ენის სწავლების და ინტეგრაციის პოლიტიკა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თაობა ჩამოყალიბდა ე.წ. ციფრულ საზოგადოებაში. მათი ინფორმაციის და განათლების წყარო არის ინტერნეტი და სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმა, სოციალური ქსელები, არაფორმალური განათლება, „1+4“ პროგრამით ჩარიცხულმა სტუდენტების პირველმა თაობამ დაამთავრა საქართველოს (თბილისის) უნივერსიტეტები. ამიტომ, სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანელმა სტუდენტმა, რომელმაც უნივერსიტეტში ისწავლა მე-20 საუკუნის

<sup>12</sup> “მირთაგი ასადოვის ხელმძღვანელობით ქვემო ქართლის გუბერნიის საპასუხო ვიდეორგოლი მომზადდა”, მარნეულის რადიო, <http://marneulifm.ge/ka/marneuli/article/14131-mirthagi-asadovis-khelmdzghvanelobith-qvemo-qarthlis-guberniis-sapasukho-videorgoli-momzadda>, ბოლოს ნანახია: 11.09.2018

<sup>13</sup> 2010 წელს, პრეზიდენტის ინიციატივა. როდესაც ნოვრუზ-ბაირამი სახალხო დღესასწაულად გამოცხადდა, მეჩეთების მშენებლობისთვის გარკვეული ფინანსური შეღავათები და ა.შ.

<sup>14</sup> ეს სახელი დამკვიდრდა რუსეთის იმპერიაში მუსლიმების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. მე -19 საუკუნეში და შემდეგ, ამ მიმართვაში გულისხმობდნენ კულტურულად უფრო დაბლა მდგომ ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფს.

ისტორია, საბჭოთა კავშირის ისტორია, ნაციონალიზმის თეორიები, ამ ცოდნას საკუთარი იდენტობის გასააზრებლად იყენებს.

ეთნიკურ უმცირესობას, რომელსაც დღეს აზერბაიჯანელს ან აზერს ვუწოდებთ, არ არის ერთი ჰომოგენური ეთნიკური ჯგუფი. საქართველოს აზერბაიჯანელების წინაპრები ცხოვრობდნენ დღევანდელი აზერბაიჯანის ან ირანის ტერიტორიაზე ან დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე და მათი საქართველოში განსახლება სხვადასხვა პერიოდში მოხდა. კვლევის დროს, ერთ-ერთი რესპონდენტის გაზიარებულ ისტორიაში ჩანს, რომ მათ წინაპრებს არანაირი კავშირი არ აქვთ აზერბაიჯანთან და ირანთან. მან ზუსტად იცის თურქეთის ის სოფელი, საიდანაც მისი წინაპრები ჩამოვიდნენ. ამიტომ, მისთვის „გაუგებარია“, რატომ უნდა უწოდოს საკუთარ კულტურას აზერბაიჯანული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს, ქართულ ენაში დამკვიდრდა სიტყვა „აზერი“. ეს იყო ერთგვარი მცდელობა, მათი მისამართით „თათარის“ როგორც დამამცირებელი სახელის წოდება ამოღებულიყო ენიდან. რადგან „თათარი“ აღნიშნავდა, არა მათ თურქულენოვან ან თურქულ ტომებთან კავშირს, არამედ დამაკნინებელი სახელი იყო. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უცხო სახელი მათთვის აზერის წოდებაა: „*აზერები აზერბაიჯანში ცხოვრობენ. იქაურები ამბობენ თავის თავზე, აქაურები აზერბაიჯანელები ვართ.*“ ზოგიერთმა რესპონდენტმა დაასახელა განსხვავებული სახელი იმ აზერბაიჯანელებისა, ვინც აზერბაიჯანში ცხოვრობს – „იერაზი“ და ქართველი აზერბაიჯანელებისთვის – „გერაზი“. როგორც უფროს თაობას, ასევე ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ საუკეთესო სახელი მათთვის იქნება „საქართველოს აზერბაიჯანელი“ ან „ქართველი აზერბაიჯანელი“:

იდენტობის თემაზე საუბრისას, ხშირად ჩნდება სიტყვა ბორჩალო. ის სხვაგვარად ისმის აზერბაიჯანელისთვის და სხვაგვარად ქართველისთვის. ქართველების დამოკიდებულება ამ სიტყვის მიმართ, კვლევის დროს, გადამოწმდა ინტერნეტ სივრცეში (სოციალურ ქსელში და ფორუმებზე). აქ, ეს სიტყვა სეპარაციის საფრთხის შემცველია ქართველისთვის. ასეთი მნიშვნელობით იყენებენ ამ სიტყვას რუსული პროპაგანდისტული საინფორმაციო წყაროებიც. რაც შეეხება საქართველოს აზერბაიჯანელებს, ბორჩალო უფროს თაობაში არის მხარის პოეტური, ლიტერატურული სახელი. ახალგაზრდა თაობაში კი, ბორჩალო უკავშირდება ისტორიული მაზრის სახელს. მათთვის ეს არის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, აზერბაიჯანელთა პოლიტიკური მონაწილეობის სიმბოლო. სოციალური მედიის ანალიზის, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მათთვის კარგ მაგალითად მიიჩნევა პირველი რესპუბლიკის დროს, 1919 წელს, დამფუძნებელ კრებაში, ერობის არჩევნებში ბორჩალოს მაზრის წარმომადგენლების (პარტიები) მონაწილეობა.

### **ქვემო ქართლთან დაკავშირებული ზოგადი ისტორიული კონტექსტის მიმოხილვა**

ქვემო ქართლში, XVII-XX საუკუნეში განვითარებული ეთნიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შესწავლა საქართველოში ისტორიკოსების პრიორიტეტი არასდროს ყოფილა. ისტორიკოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ინტერესდებოდა ამ რეგიონით და შესაბამისად, შესწავლილი საკითხები ფრაგმენტულია. ეს ბევრი მიზეზით აიხსნება და მათ შორის უპირველესი საქართველოში ლოკალური ისტორიის შესწავლის სკოლის არარსებობაა. რეგიონის, რომელიც ეთნიკური კომპოზიციის



მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ისტორიაში საკუთარი ადგილი არ გააჩნია. ამიტომ, ჩვენ შემთხვევაში, წარსულთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. შეზღუდულმა რესურსებმა, მცირე დრომ, არქივებში არსებულმა პრობლემებმა არ მოგვცა საშუალება, რომ კვლევა ღრმა და დეტალური ყოფილიყო. მოცემული ანალიზი არის ზოგადი მიმოხილვა ძირითადი ისტორიული პროცესებისა, რომლებიც ქვემო ქართლში მიმდინარეობდა.

1604 წელს, შაჰ აბას პირველმა, ერევანთან ომში, ოსმალები დაამარცხა, მეფე გიორგი X-ს (1600-1605) ირანში მისცა სოფლები და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ, ქართველთა მეფემ ირანის შაჰს ლორეს მხარე და ლორეს ციხე გადასცა. ხანმა კი აქ, მდ. დებედას ხეობაში, თურქმანული ტომი ბორჩალუ ჩამოასახლა.<sup>15</sup> მათი ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა და მეჯოგეობა იყო. ისტორიკოს ალ. ბოშიშვილის ვარაუდით, ბორჩალოს სახანო პირველ ეტაპზე, ალბათ, შაჰს ექვემდებარებოდა, თუმცა, მალე, შეცვლილი მიწათმფლობელობის წესითა და თურქმანული ელი მოსახლეობით კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.<sup>16</sup> 1758 წელს, ერეკლე II-მ ბამან ხანს მისცა ბორჩალოს ხანობა. მან, მალევე, ქართლის საზღვრებს გარეთ გასული შეშინებული ელებიც<sup>17</sup> დააბრუნა და სახელმწიფო სამსახურში ჩააყენა. 1764 წელს, ერეკლე II-მ სპეციალური ბრძანება გამოსცა ბორჩალოსა და სხვა ტომების წინამძღოლებისთვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მეფე მათ ავალეზდათ ბორჩალოს ელის მოვლას, ხოლო თავის მხრივ, მოხელეებზე ზრუნვის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა.<sup>18</sup> ერეკლე II-ის ასაკში ყოფნის დროს კი, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო საუფლისწულოებად დაიყო, ეს ადგილები ტახტის მემკვიდრეს გიორგის ერგო.

1801 წელს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და უშუალოდ შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ბორჩალოში იწყება რუსული ადმინისტრაციისა და ახალი საგადასახადო სისტემის დანერგვა. ამავე პერიოდში, რეგიონში იწყება მიგრაციების მორიგი ტალღა და არსდება რამდენიმე გერმანული კოლონია. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ბორჩალოს მაზრაში ხდება ეთნიკური ბერძნების გადმოსახლება. მაზრა უფრო მრავალეთნიკური გახდა. ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთისგან განცალკევებით ცხოვრობდნენ და ყოფით პრობლემებს თუ არ ჩავთვლით, ეთნიკური კონფლიქტი მათ შორის არ ყოფილა.

XIX საუკუნის მიწურულს, რუსეთის იმპერიაში აქტიურდება თვითმმართველობის საკითხი. სახელმწიფოსათვის, რომელიც მკაცრად ცენტრალიზირებულ მმართველობას იყო მიჩვეული, ეს ახალი ტიპის გამოწვევა იყო. თვითმმართველობის შემოღებაში, განსაკუთრებით, ადგილობრივი ელიტები აქტიურობდნენ. მათი მოსაზრებით, ყურადღება უნდა დათმობოდა რესურსების გადანაწილებას და მოხმარებას ადგილობრივი საჭიროების გათვალისწინებით. თუმცა, რუსეთის იმპერია მზად არ იყო ფართო თვითმმართველობის უფლებების გაცემისათვის. ყველაზე მწვავედ

<sup>15</sup>ალექსანდრე ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთ საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს). თბ., 2015. გვ. 127

<sup>16</sup>ალექსანდრე ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთ საზღვარი . . . თბ., 2015. გვ. 128

<sup>17</sup>ტომი, ხალხი

<sup>18</sup>ალექსანდრე ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთ საზღვარი . . . თბ., 2015. გვ. 135

თვითმმართველობის საკითხი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დადგა კავკასიაში. ახალი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ათწლეულები იბრძოდა რუსეთის იმპერიაში თვითმმართველობის უფლებისათვის, დიდ დროს უთმობდა ამ საკითხს. სრულად აცნობიერებდა მის როლსა და მნიშვნელობას.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თვითმმართველობის არჩევნები ისევ აქტიური გახდა. ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, ბორჩალოს სამაზრო-საერობო საარჩევნო კომიტეტი აქტიურ მუშაობას 1919 წლის მაისიდან შეუდგა. კომიტეტი ეკატერინენფელდში (ბოლნისი) იყო განთავსებული. მაზრა დაყოფილი იყო 5 საარჩევნო ოლქად. არჩევნების შედეგები მრავალპარტიულ ადგილობრივ ცხოვრებაზე მიუთითებდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ს/დ) და „ჭუმბეთის“ (ენერგია – აზერბაიჯანის მუსლიმთა სოციალისტური პარტია)<sup>19</sup> გაერთიანებული სია – 8 689 (40,25 %); უპარტიოთა სხვადასხვა ჯგუფი – 6 557 (30,37 %); სოციალისტი-კოლონისტები (ახალშენები) – 1 426 (6,6 %); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ს/რ) – 4 637 (21,48 %).<sup>20</sup> აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ საერობო მოწყობის ეს ტიპი ბორჩალოს მაზრაში ყველა ეთნიკური ჯგუფის თანაბარ მონაწილეობას უზრუნველყოფდა ადგილობრივ თვითმმართველობაში.

1918-1921 წლებში, ეთნიკური უმცირესობები წარმოდგენილები იყვნენ არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, არამედ, ისინი მონაწილეობას იღებენ ახალი სახელმწიფოს დაფუძნებაში. ჰუსეინ (სოინ) ყული-მამედ-ოღლი დამფუძნებელი კრების დეპუტატი იყო და აქტიურად მონაწილეობდა მუსლიმების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად ჩამოყალიბებულ სხვადასხვა კომისიაში.<sup>21</sup> თბილისის მაზრის ყარაიაზის ოლქში, ხმოსანთა არჩევნის დროს, ძირითადი პოლიტიკური პარტიების ჭიდილში მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი დაფიქსირდა - აზერბაიჯანელი ეროვნების მუსლიმი ქალი ფარი-ხანუმ სოფიევი თბილისის სამაზრო ერობის მეხუთე ხმოსანი გახდა ყარაიაზის<sup>22</sup> ოლქიდან. ეს იყო პირველი მუსლიმი ქალი, რომელიც აირჩიეს ადგილობრივ თვითმმართველობაში.<sup>23</sup>

ისტორიკოსი ერიკ ლი, 1918-1921 წლების საქართველოში, პოლიტიკურ მმართველობას მივიწყებულ რევოლუციას და ექსპერიმენტს უწოდებს.<sup>24</sup> ეს სამართლიანი შეფასებაა, თუმცა, პოლიტიკურმა პროექტებმა და ხედვებმა, რომელიც მხოლოდ ყალიბდებოდა, დასრულებული სახე ვერ მიიღეს. ამიტომ, მათ შედეგებზე საუბარი არ შეგვიძლია. პირველი რესპუბლიკის ექსპერიმენტების დავიწყებას აქტიურად შეუწყვეს ხელი ბოლშევიკებმა, რომელთა მმართველობის დროსაც რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა.

<sup>19</sup> მეოცე საუკუნეში პოლიტიკური პარტიები მოქმედების გეოგრაფიული არეალი მთელ სამხრეთ კავკასია იყო

<sup>20</sup> ერობა. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918. გვ. 173

<sup>21</sup> <http://archive.ge/ka/biography/166>

<sup>22</sup> გარდაზნის რაიონი

<sup>23</sup> <http://archive.ge/ka/blog/9>

<sup>24</sup> ერიკ ლი. საქართველოს მივიწყებული რევოლუცია, 1918-1921. თბილისი 2018. გვ. 7-11

1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, შეიცვალა ნაციონალური პოლიტიკაც. საბჭოთა კავშირმა დაიწყო ექსპერიმენტები ნაციონალურ პოლიტიკაში. ის, რასაკვირველია, პირდაპირ შეეხო მუსლიმ მოსახლეობას ბორჩალოს მაზრაში. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, სქემატურად, ყველაზე კარგად ჩანს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XII ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. 1923 წლის რეზოლუციაში, საბჭოთა ხელისუფლებამ მაქსიმალურად დაუჭირა მხარი ნაციონალური მოწყობის ისეთ ფორმას, რომელიც არ მოდიოდა წინააღმდეგობაში უნიტარულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოსთან.<sup>25</sup> ხელისუფლება ხელს უწყობდა ნაციონალურ თვითგამოხატვას ოთხგვარი სახით: ნაციონალური ტერიტორია, ენა, ნაციონალური ელიტა და კულტურა. ამ კატეგორიების გავრცელებით კონკრეტულ ტერიტორიაზე, ტიტულარული ავტოქტონური ერის ენა სახელმწიფო ენად ცხადდებოდა. კულტურულად განვითარებულ ერებად მხოლოდ რამდენიმე ერი ჩაითვადა, მათ შორის: რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, ებრაელები და გერმანელები, რომლებიც ერთ კატეგორიაში „დასავლურ ერებში გააერთიანეს.“<sup>26</sup> ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები მუსლიმები არ იყვნენ ავტოქტონური ერი ამ ტერიტორიაზე, ამიტომ ისინი „კულტურულად ჩამორჩენილებად“ იქნენ მიჩნეულნი. 1926 წლისათვის, ბორჩალოს რაიონის მოსახლეობის განათლების დონე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში განსხვავებული იყო. გერმანელთა შორის განათლებული იყო 95 %, რუსი - 38,1 %, სომხები - 28,8 %, ქართველები - 11% და თიურქები - 3,7 %. მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11 % იყო განათლებული.<sup>27</sup> განათლებაში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა.

1922 წელს შექმნილ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციაში სახელმწიფო ენა იყო რუსული, ასევე, მის იურისდიქციაში შემავალ პოლიტიკურ გაერთიანებებში არსებული სახელმწიფო ენებიც - ადგილობრივი ქართული, სომხური და თიურქული ენები. პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე განმარტავს განსხვავებას თიურქსა და თურქს შორის: „საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას თიურქულენოვან რესპუბლიკებში ადგილობრივ ნაციონალიზმზე მეტად პანთურქიზმი აშინებდა. ამიტომაც, კრემლის გადაწყვეტილებით, სამხრეთ კავკასიის ყველა, ტრადიციული რელიგიით მუსლიმ, ხოლო ენობრივად თიურქულ ეთნოსს, რომლებიც 1926 წლის სრულიად საკავშირო მოსახლეობის აღწერისას “თიურქებად” აღრიცხეს, იმისთვის, რომ “თურქებში” არ არეოდათ, 1936 წლიდან, ოფიციალურად დაუმკვიდრეს სახელად “აზერბაიჯანელი”. 1939 წელს ჩატარებული მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით, მაგალითად, მესხეთში მცხოვრები ყველა თიურქულენოვანი (ზოგი ქართულენოვანიც კი) მუსლიმი აღირიცხა, როგორც აზერბაიჯანელი (ადრე მათ “თათრებს” უწოდებდნენ).”<sup>28</sup>

<sup>25</sup>Терри Мартин. Империя „Положительной деятельности“. Нации и Национализм в СССР, 1923-1939 г. Москва 2011. გვ. 21-2

<sup>26</sup>Терри Мартин. Империя „Положительной деятельности“. Нации и Национализм в СССР, 1923-1939 г. Москва 2011 გვ. 41

<sup>27</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება. ფონდი 13 აღწერა 17 საქმე 131. გვ. 84

<sup>28</sup> რევაზ გაჩეჩილაძე. ჩემი XX საუკუნე, ტომი I. “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2008, გვ. 304.

ასევე, ხელს უწყობდნენ ეთნიკურ უმცირესობებს, რომ განათლება და ინფორმაცია მშობლიურ ენაზე მიეღოთ. 1935 წლის მონაცემებით, საქართველოში, თიურქულ ენაზე გამოდიოდა 10 ჟურნალ-გაზეთი. რეგიონებში, სადაც ორი ან მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა გაზეთებიც ორენოვანი ან სამენოვანი იყო.<sup>29</sup> თიურქების რაოდენობა კომუნისტურ პარტიაში საკმაოდ დაბალი იყო. 1936 წლის მონაცემებით, საქართველოში კომუნისტური პარტიის წევრი იყო: 25 303 ქართველი, 5 007 სომეხი, 3 509 რუსი და 1027 თიურქი.<sup>30</sup> თუმცა, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში, პარტიის ბიუროში საქართველოში არც ერთი თიურქი არ ყოფილა. მათი პოლიტიკაში წარმომადგენლობა მათი კომპაქტურად დასახლების ადგილს არ სცდებოდა. ისინი, მეტნაკლებად წარმოდგენილნი იყვნენ ადგილობრივი რაიკომის დონეზე. უფრო მაღალ დონეზე კი, მათი წარმომადგენლობა დაბალი ან პრაქტიკულად არ იყო.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაცია, მისი ბუნებიდან გამომდინარე, დიდ ყურადღებას უთმობდა ეთნიკურ უმცირესობებს. არსებობდა ნაციონალური საბჭოები და ერთი შეხედვით, იქმნებოდა ილუზია, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე, განსაკუთრებით მათ განათლებაზე, სახელმწიფო ზრუნავდა. თუმცა, 1936 წელს, ფედერაციის დაშლის შემდეგ, საქართველოს სსრ-მ გაცილებით შეარბილა ინტერესი ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლება რთული დილემის წინაშე იდგა ტერიტორიულ ნაციონალიზმსა და ინდივიდუალურ ნაციონალიზმს შორის. საქართველოში მცხოვრებ ქართველს შეეძლო გამოეხატა საკუთარი ინდივიდუალური ნაციონალური გრძნობები, ამისათვის არსებობდა სივრცე ენისა და კულტურის სახით. საკითხი კომპლექსური იყო ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით. ისტორიკოსი ტერი მარტინსი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ასეთ შემთხვევაში, ეთნო-ტერიტორიული დივერგენციის სტრატეგიით სარგებლობდა, რაც გულისხმობდა, რომ უნდა შექმნილიყო ნაციონალური საბჭოები მცირე ტერიტორიებზე, რათა ეთნიკურ უმცირესობებს შეეძლებოდათ ნაციონალური გრძნობების გამოხატვა. თეორიულ სურვილსა და პრაქტიკულ გადაწყვეტილებას შორის დიდი განსხვავება აღმოჩნდა. ნაციონალური ტერიტორიის შემოფარგვლის შემდეგ, ინდივიდი აცხადებდა საკუთარ ეთნიკურ ლოიალურობას.<sup>31</sup> საქართველოშიც, შეიქმნა ნაციონალური საბჭოები, რომლებიც მცირე ერების ნაციონალური იერსახის შენარჩუნებასა და მათ ვიწრო გეოგრაფიულ არეალში პოლიტიკაში ჩართულობას უზრუნველყოფდნენ. საბჭოთა პერიოდში, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, ქვემო ქართლშიც იწყებს ფორმირებას სხვადასხვა კოლმეურნეობა. ყალიბდება ადგილობრივი კომუნისტური ელიტები, როგორც სოფლების, ასევე რაიონის დონეზე.

<sup>29</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება. ფონდი 13 აღწერა 13 საქმე 12. გვ. 7-13

<sup>30</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება. ფონდი 13 აღწერა 14 საქმე 6. გვ. 11

<sup>31</sup> Terri Martin. Империя „положительной деятельности“ Наацио и национализм в СССР, 1923-1939. Москва 2011, გვ. 49-50

ზუსტად ამით აიხსნება ის პრობლემები, რომელიც ქვემო ქართლში ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და ეთნიკურ ქართველებს შორის შეიქმნა 1980-იანი წლების ბოლოს. 1987 წელს, სვანეთში, დიდთოვლობამ ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია. აუცილებელი გახდა მოსახლეობის გადასახლება. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ სვანების ჩასახლების ადგილად აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული ადგილი, ქვემო ქართლია აირჩია. ამ გადასახლებას ცალსახად ჰქონდა მიზანი, რომ ამ რეგიონში ეთნიკური მოზაიკა შეეცვალა და უკვე 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით, რეგიონის მოსახლეობის 35,23% ეთნიკურად ქართველი იყო<sup>32</sup>. პრესა, რომელიც აქტიურად აშუქებდა ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების გადაცემის საკითხს, მუდამ უსვამდა ხაზს, რომ „ქართულ მიწაზე უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა.“<sup>33</sup>

1989 წლის 23 ივნისს, ღია კონფლიქტი ხდება ქართველ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს შორის. ფიზიკური დაპირისპირება მთელი ღამე გრძელდებოდა. სიტუაციის განმუხტვა რუსთავიდან და თბილისიდან ჩასულმა მილიციის რაზმებმა შეძლეს. 24 ივნისს კი, მარნეულში ჩატარდა მიტინგი, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო ქვემო ქართლის ავტონომიზაცია, რომლის დედაქალაქიც რუსთავი უნდა ყოფილიყო.<sup>34</sup>

საქართველოს კომუნისტურ პარტიას პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული გეგმა არ გააჩნდა. წლების განმავლობაში დამკვიდრებული სტრატეგია, რომ პროპაგანდისტებს და ადგილობრივ ელიტებს უნდა ჩაეტარებინათ შეხვედრები ინტერნაციონალიზმის მნიშვნელობაზე აღარ ჭრიდა. 80-იან წლებში, ძალიან პოპულარული ხდება პარტიაში ინტელიგენციასთან შეხვედრები, სადაც მწვავე დისკუსიები იმართებოდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკოსები ამას საზოგადოებაში დაგროვებული ნეგატიური განწყობების „ბოლის გამოსაშვებ“ სივრცედ იყენებდნენ. დამაბულობის დროს, კომუნისტური პარტიის ცკ-ის ბიურო ხშირად იხილავდა ეთნიკური აზერბაიჯანელების საკითხს. თუმცა, პოლიტიკური გადაწყვეტილებების ნაცვლად, ინტელიგენცია და პოლიტიკური ელიტის ნაწილი გამოდიოდა მოწოდებით, რომ მათ ელიარებინათ საკუთარი „სტუმრის“ სტატუსი.

ქვემო ქართლი, როგორც გეოგრაფიული არეალი, საქართველოში მომხდარი ეთნიკური მიგრაციების გამო, უნიკალურია. XVII საუკუნეში დაწყებული მიგრაციები XX საუკუნის ბოლომდე აქტიურად მიმდინარეობდა. მონარქიის დროს, მეფისათვის უმთავრესი მიზანი მისი ქვეშევრდომების ლოიალურობის მაღალი ხარისხი იყო და ეთნიკურ კუთვნილებას მეორადი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1604 წლის შემდგომ, აქ ჩამოსახლებული თურქულენოვანი მოსახლეობის სარწმუნოება და ეთნიკური კუთვნილება ქართლის, შემდგომ კი ქართლ-კახეთის მეფეთათვის არ იყო

<sup>32</sup> 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა

<sup>33</sup> ლიტერატურული საქართველო. 1988 წელი. N 46 (2670). ფ. 1

<sup>34</sup> ახალგაზრდა კომუნისტი. 1989 წელი. N 77 (11407) ფ. 2 . ამ პერიოდის შესახებ არქივები საქართველოში გასაიდუმლოებულია. ამიტომ, დეტალური ინფორმაციის მიღება ადრეული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ ვერ ხერხდება. ისევე როგორც ვერ ხერხდება ზუსტი ინფორმაციის მიღება ლინჩის წესით გასამართლებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რომელიც ზეპირი წყაროებით დასტურდება.

პრიორიტეტული. მთავარი მათი ლოიალურობის ხარისხი იყო. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის დროს, ჩამოსახლებული ეთნიკური უმცირესობები გერმანელები, ბერძნები და სხვები საკუთარ ვიწრო სოციუმებში ცხოვრობდნენ და პრაქტიკულად, ჩართულნი არ იყვნენ გუბერნიის ცენტრის, ტფილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირველად, მათი ინტეგრაციის მცდელობა იყო 1918-1921 წელს, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. საქართველოში ბოლშევიკური წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ კი, თვისებრივად ახალი ეტაპი და ახლებური დამოკიდებულება მკვიდრდება ეთნიკური უმცირესობების მიმართ. იქმნება „ტიტულარული ერის“ კონცეფცია, რაც გულისხმობს, რომ ერთ დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს ეძლევა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დომინაციის უფლება. ხდება ეთნიკურ ჯგუფებს შორის სეგრეგაცია. ეს მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა, რიგ შემთხვევაში, განაპირობებს ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პრობლემას თანამედროვე საქართველოში.

### **ქართული ენის ცოდნა, განათლების საკითხი, პოლიტიკური მონაწილეობა და ინტეგრაცია**

ნაციონალიზმის თეორიების მოდერნისტული ხედვა განათლებას უშუალოდ უკავშირებს (სამოქალაქო) ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებას.<sup>35</sup> წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ იდენტობის თემის აქტუალიზაცია მოხდა ახალგაზრდებში და მათ შორის, იმ ჯგუფში, რომელიც უკვე იღებს უმაღლესს განათლებას. ამიტომ, ინტეგრაციის პოლიტიკაში უმცირესობათა ჯგუფებში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თავის მხრივ, განათლების პრობლემატიკა უკავშირდება არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სათანადო ცოდნის პრობლემას, არამედ, განათლების ხარისხს, რომელიც მთლიანობაში არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარიყულობას აღრმავებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს სახელმწიფოს მცდელობები ეთნიკური უმცირესობების განათლების გაძლიერების მიმართულებით, მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები, რომელიც შექმნილი მდგომარეობის არსებით ტრანსფორმაციას შეუწყობდა ხელს, არ ჩანს.

სახელმწიფოს მიერ 2009 წლიდან დაწყებული რეფორმა, რომელიც არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის კვოტირების სისტემას (1+4 სისტემას) ითვალისწინებდა, არსებით პროგრესად შეიძლება შეფასდეს. კერძოდ, 2010 წლიდან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება, უმაღლესი განათლება მიიღონ გამარტივებული წესით საქართველოში. გამარტივებული სისტემა, ე.წ. 1+4 პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას სომხურ აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნულმა ცვლილებამ ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებში განათლების, ქართული ენის მნიშვნელოვან ზრდას და მთლიანობაში ინტეგრაციის პროცესს, რომელმაც თვისებრივად შეცვალა ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური ცნობიერება და სამოქალაქო და სოციალური დამოკიდებულებები. თუმცა,

<sup>35</sup>გელნერი, ერნსტ: ერები და ნაციონალიზმი, თბ. 2003

ამ დრომდე, განათლების სისტემაში რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დამატებით ძალისხმევას ითხოვს.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, არ არსებობს ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც კონცეპტუალურად და სიღრმისეულად იქნება გაანალიზებული განათლების სფეროში არსებული ვითარება, გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ეთნიკური უმცირესობების განათლების საკითხის რეგულირებას და უწყებათაშორის კოორდინაციას.<sup>36</sup>

ენის სწავლებისა და განათლების ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს სკოლამდელი აღზრდის პრობლემა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში. სახალხო დამცველის ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ბალის შენობების არ არსებობის, ან ადეკვატური ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში სკოლამდელი აღზრდის ინსტიტუციების რაოდენობა რადიკალურად მცირეა. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ბავშვთა ჩართულობა სკოლამდელი განათლების საფეხურზე მკვეთრად ჩამოუვარდება რეგიონების უმრავლესობაში არსებულ ჩართულობას და სამცხე-ჯავახეთში 52,6%-ია, ხოლო ქვემო ქართლში - 43,7%. ქვემო ქართლისა (62%) და სამცხე-ჯავახეთის (57%) დასახლებათა უმეტესობაში არ არის მუნიციპალური საბავშვო ბაღები.<sup>37</sup>

ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში ზოგადი განათლების პრობლემა მწვავედ დგას არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ მთლიანობაში, განათლების ხარისხისა და მოსწავლეების სათანადო კომპეტენციებით გამდიერების მიმართულებით.

არაქართულენოვან სკოლებში განსხვავებულია სკოლის დამთავრების მაჩვენებელი, ქართულ სკოლებთან შედარებით. იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სრულ საშუალო სასკოლო განათლებას იღებენ არაქართულენოვან სკოლებში, მკვეთრად ჩამოუვარდება ქართულენოვანი თანატოლების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი პრაქტიკულად არ განსხვავდება სწავლების ენის მიხედვით დაწყბით და საბაზისო საფეხურის მე-9 კლასის ჩათვლით. თუმცა, აზერბაიჯანულენოვან სკოლებში, 2014-15 სასწავლო წლიდან 2016-17 სასწავლო წლამდე, მე-8 კლასიდან მე-10 კლასამდე მოსწავლეების რაოდენობა 81%-მდე, რუსულენოვან სკოლებში კი, 80%-მდე ჩამოდის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ გააჩნია ინფორმაცია მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების ზუსტი მიზეზების შესახებ.<sup>38</sup> თუმცა, ამ შემთხვევაში, განსხვავება სკოლის მიტოვების მაჩვენებლებს შორის, რომელიც სწავლების ენის მიხედვით ფიქსირდება სკოლებში, რეალურად იმის მაჩვენებელია, რომ

<sup>36</sup> სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2017, გვ. 273, ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf>

<sup>37</sup> სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სახელმწიფო სტრატეგიის 2015 - 2016 წწ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;

<sup>38</sup> სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სახელმწიფო სტრატეგიის 2015 - 2016 წწ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;

არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს არათანაბარი პირობები, საშუალება და მოტივაცია გააჩნიათ ზოგადი საშუალო განათლების მისაღებად.<sup>39</sup>

რეგიონში ასევე პრობლემურია კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტი, აზერბაიჯანულ სექტორში კი ზოგადად, მასწავლებლების დაბერების პრობლემა.

აღნიშნული სტრუქტურული გამოწვევების მიუხედავად, „1+4“ პროგრამაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება.<sup>40</sup> კვლევის დროს, გამონაკლისის გარეშე დადასტურდა, რომ აბიტურიენტები სწავლას აგრძელებენ თბილისში უმაღლეს სასწავლებელში. ამ საშეღავათო პროგრამის გარეშე, სკოლაში ამჟამად ქართული ენის სწავლის დონის გათვალისწინებით, აბიტურიენტებისთვის უმაღლესი განათლების მიღება დიდი ხნით დაგვიანდებოდა. როგორც ცნობილია, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები უმაღლესი განათლებისთვის აზერბაიჯანში ან რუსეთში მიდიოდნენ. ყველა რეგიონში, სადაც კვლევა ჩატარდა, მოსახლეობა ვერც კი იხსენებდა ბოლო წლებში, ვინმე თუ წავიდა აზერბაიჯანში სასწავლებლად.

კვლევის შედეგად, გამოჩნდა ტენდენცია, რომ აზერბაიჯანულ თემში ერთსულოვნებაა ქართული ენის ცოდნის აუცილებლობაზე. რა თქმა უნდა, ჩანს თაობებს შორის ენის ცოდნაში განსხვავება. საშუალო ასაკის რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ თვითონ ნაკლებად, მაგრამ შვილები საუბრობენ ქართულად. ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები ამბობენ, რომ მათ იციან ქართული, მაგრამ მშობლებმა ნაკლებად. როგორც ერთმა აზერბაიჯანელმა სტუდენტმა აღნიშნა, ახალგაზრდებმა იციან, რომ ენა მათ სჭირდებათ განათლების მისაღებად. ასევე, მათ იციან, რომ მათი ქვეყნის სახელმწიფო ენა ქართულია. მშობლების თაობა კი უფრო პრაგმატულად უყურებს საკითხს და ქართული ენის ცოდნაში შვილის კარიერის, ეკონომიკური წინსვლის საშუალებას ხედავს.

კვლევის შედეგად ჩანს, რომ სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება. თუ განათლების სამინისტრო მხარს დაუჭერს არაფორმალური განათლების პროგრამებს ამ რეგიონში, აზერბაიჯანელ მოსწავლეებში ეს გაზრდის განათლების მიღების მოტივაციას, ქართული ენის ცოდნას და უფრო მოამზადებს მათ ქართულ უნივერსიტეტში სწავლისა და ადაპტაციისთვის. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმირებულობა „1+4 პროგრამის“ მიმართ დაბალია რეგიონში. ინფორმირებულობა, ხშირად, დამოკიდებულია ცალკეული აბიტურიენტის, ან რომელიმე მასწავლებლის მონდომებაზე. სისტემური საინფორმაციო კამპანია ან სხვა მექანიზმი ქვემო ქართლის რეგიონში, განსაკუთრებით სოფლებში, არ არსებობს. კვლევის დროს, რესპონდენტები ადასტურებდნენ, რომ არსებობს ერთგვარი პოზიტიური დამოკიდებულება ჯარში გაწვევისადმი. ასევე, მაღალია მოთხოვნა, რომ

<sup>39</sup> სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სახელმწიფო სტრატეგიის 2015 - 2016 წწ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;

<sup>40</sup> „1+4“ პროგრამაზე ჩარიცხული არაქართულ ენოვანი სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით: 2010 წელი - 247 სტუდენტი, 2011 წელი - 430, 2012 წელი - 589, 2013 წელი - 890, 2014 წელი - 673, 2015 წელი - 741, 2016 წელი - 960, 2017 წელი - 1047.



ადგილობრივებმა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრში, გაიხსნას მუნიციპალური სპორტული დარბაზები რაიონებში, რომელიც სტაბილურად იმუშავებს.

ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში ენის ცოდნისკენ, განათლების მიღებისკენ სწრაფვა უშუალოდ პოლიტიკური ჩართულობისთვის მზაობას უკავშირდება. თუმცა, ყველა ახალგაზრდა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათ მოტივაცია უქრებათ, როდესაც ხედავენ, რომ სახელმწიფოს არ აწყობს ქართულის მცოდნე და განათლებული აზერბაიჯანელი, „მათ ურჩევნიათ პარლამენტში და საკრებულოში იყვნენ ქართულის არმცოდნე ხალხი, რომელთაც არ ესმით რაზე მიდის იქ საუბარი და მხოლოდ ის იციან, რომ პულტს უნდა დააჭირონ ხელი“. ეს და სხვა შეფასებები გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდები პასიურად არ უყურებენ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, ისინი კრიტიკულად აფასებენ პოლიტიკურ გარიგებებს, კორუფციას და ამ დროს, არ ხელმძღვანელობენ ეთნიკური მიკუთვნებულობით.<sup>41</sup>

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, შესამჩნევად დაბალია. უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების შემდეგ, პარლამენტში შეიმჩნევა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების რიცხვის კლების ტენდენცია. 2016 წლის მოწვევის პარლამენტში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა 11 დეპუტატს (7,3 %) შეადგენდა. მაშინ, როდესაც მოსახლეობაში მათი საერთო წილი, 2014 წლის აღწერის მიხედვით, 13,2 %-ს აღწევს. უმცირესობათა საკითხების ეროვნული ცენტრის (ECMI) მონაცემებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტში აღინიშნებოდა - 4 დეპუტატი; ხოლო 1996-1999 და 1999-2004 წლებში პარლამენტის წევრი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო და 16-16 დეპუტატს შეადგენდა. 2008-2012 წლებში, ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული დეპუტატების რაოდენობა იყო 6, 2012 წელს - 8, 2016 წელს კი 11.<sup>42</sup> აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი საზოგადოება ხშირად უთითებს, რომ მათი წარმომადგენლები პარლამენტში, როგორც წესი, არ აქტიურობენ პოლიტიკურ დებატებში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებად პარტიებს ხშირად ისეთი ადამიანები შეჰყავთ სიებში, რომლებსაც ქართული ენისა საკმარისი ცოდნა და განათლება არ აქვთ, რაც მათი თქმით, აძლიერებს ქართულის არ მცოდნე, პასიური ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლის საჯარო ხატს.<sup>43</sup>

ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ მმართველი პარტიისადმი ეთნიკური უმცირესობების რეგიონების მხარდაჭერა მაღალია ხოლმე. ამომრჩეველთა ამგვარი ქცევის განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს, ერთი მხრივ, ხელისუფლებისადმი ნდობის გამოცხადებით მოპოვებული გარკვეული დაცულობის შეგრძნება და სტატუსკვოს შენარჩუნების სურვილი, მეორე მხრივ კი, შიში

<sup>41</sup> „კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები, პოლიტიკის ნარკვევი“, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, 2018

<sup>42</sup> ინფორმაცია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების შესახებ პარლამენტში იხილეთ: [http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics\\_minorities-in-parliament\\_Geo.pdf](http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics_minorities-in-parliament_Geo.pdf)

<sup>43</sup> [http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics\\_minorities-in-parliament\\_Geo.pdf](http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics_minorities-in-parliament_Geo.pdf)

ხელისუფლებისადმი და ძალოვანი სტრუქტურების გავლენა ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე.<sup>44</sup> 2016 წლის არჩევნების შემდეგ, შესამჩნევი იყო პოლიტიკური ოპოზიციის მხარდაჭერის ზრდის შემთხვევები.<sup>45</sup> ადგილობრივები ხშირად უთითებენ, რომ პოლიტიკური პარტიებს მათ მიმართ ძირითადად ელექტორალური ინტერესი აქვთ და მათი საქმიანობა რეგიონში, როგორც წესი, არჩევნებთან კავშირში აქტიურდება. ისინი არ ატარებენ სათანადო წინასაარჩევნო კამპანიას და ზოგადად, მათ პოლიტიკურ პროგრამებსა და დღის წესრიგში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხებს სათანადო ყურადღება თითქმის არ ეთმობა.

ქვემო ქართლში, ასევე მძიმე მდგომარეობაა საჯარო სამსახურში ადგილობრივების დასაქმების კუთხით. მარნეულში, ბოლნისში, დმანისსა და გარდაბანში ეთნიკური აზერბაიჯანელები წარმოადგენენ უმრავლესობას. თუმცა, ამ მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებელი აზერბაიჯანელების რიცხვი პროპორციულად არ აისახება მათ მიერ დაკავებულ საჯარო თანამდებობებზე.<sup>46</sup>

ცხადია, ეთნიკური უმცირესობების დაბალი პოლიტიკური ჩართულობა და მონაწილეობა, ახალგაზრდა თაობაში გაჩენილი კრიტიკული პოლიტიკური ცნობიერებისა და ქვევის ფონზე, ღრმა გაუცხოების და ფრუსტრაციის საფუძველს ქმნის. ეს კი სახელმწიფოს და პოლიტიკური პარტიების მხრიდან ჯეროვან რეაგირებას და პოლიტიკის რევიზიას ითხოვს.

### **რეგიონული აქტორები ქვემო ქართლში - რბილი ძალა თუ კულტურული კავშირები?!**

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა კულტურულ და პოლიტიკურ კავშირებში რელიგიის ფაქტორი დომინანტური არ არის, რადგან კულტურული თუ სოციალური კავშირები, ხშირად, არ ემთხვევა მეზობელი ქვეყნების დომინანტ რელიგიურ კულტურას. ზოგადად, ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა რელიგიურ პრაქტიკასა და რელიგიურ კულტურაზე მწირია სამეცნიერო ნაშრომები. როგორც კვლევებიდან გამოჩნდა, რელიგიური სურათის აღწერას ართულებს ისიც, რომ ხშირად, ადგილობრივ მოსახლეობაში არ არის გაცნობიერებული, ისინი შიიტები არიან თუ სუნიტები. წინამდებარე დოკუმენტისთვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადად, რელიგიური პრაქტიკა თემში დაბალია. ასევე, განსხვავებულია რელიგიური პრაქტიკა თაობების მიხედვით. რელიგიურობა,

<sup>44</sup> პოლიტიკის ნარკვევები, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში, ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD), 2017, სტატია - საარჩევნო სისტემები და ეროვნული უმცირესობები, ქ. მარგველაშვილი და ა. წიკლაური.

<sup>45</sup> იხ. „კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები, პოლიტიკის ნარკვევი“, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, 2018

<sup>46</sup> სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს მონიტორინგის ანგარიშის ( 2017 წ.) მიხედვით, მაგალითად, მარნეულის გამგეობაში დასაქმებულია 217 თანამშრომელი, საიდანაც 74 აზერბაიჯანელია. ქვემო ქართლში ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ძირითადად, უკავიათ საკრებულოს და გამგებლის მოადგილის თანამდებობები.

ძირითადად, გამოიხატება დღესასწაულების აღნიშვნაში, რომელიც არის როგორც რელიგიური, ასევე მათი კულტურის და ტრადიციის ნაწილი (ყურბან-ბაირამი, ნოვრუზ ბაირამი). უფროსი თაობა რელიგიურ პრაქტიკას ისე მკაცრად არ იცავს, როგორც ახალგაზრდები. თუმცა, გამოჩნდა ტენდენცია, რომ ახალგაზრდები თავიანთ თავს მუსლიმს უწოდებენ, მაგრამ რელიგიურ რიტუალებს არ ასრულებენ. ამრიგად, თემში რელიგიური სურათი საკმაოდ მოზაიკურია.

რაც შეეხება მეზობელი ქვეყნების როლს და მათდამი დამოკიდებულებას ქვემო ქართლში, გამოიკვეთა ორგვარი დამოკიდებულება **აზერბაიჯანის**<sup>47</sup> მიმართ. რესპონდენტები არ ამჟღავნებდნენ მაღალ ლოიალობას და მიკუთვნებულობას აზერბაიჯანში მცხოვრებთა მიმართ. კვლევის სიახლე იყო, რომ აზერბაიჯანელი რესპონდენტებისთვის აზერბაიჯანი სულ უფრო მეტად გამოიკვეთა როგორც მეზობელი ქვეყანა და არა როგორც ისტორიული სამშობლო („რატომ მილოცავენ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს, მე აღვნიშნე 26 მაისს ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობის იუბილე“). საქართველოს აზერბაიჯანელები არ ცდილობენ, შეალამაზონ, გაამართლონ ის, რასაც ხედავენ აზერბაიჯანში. ახალგაზრდების ნაწილი ან არ არის დაინტერესებული აზერბაიჯანში მიმდინარე ამბებით („არ ვუყურებ აზერბაიჯანულ არხებს... სულ ყარაბაღზე ლაპარაკობენ“), ან აკრიტიკებენ პოლიტიკურ რეჟიმს და ავტორიტარულს უწოდებენ. მაშინ, როდესაც რეგიონში, 90-იანი წლებიდან, აზერბაიჯანი ერთ-ერთი მთავარი აქტორია (ფინანსურად, პოლიტიკურად, კულტურულად), აზერბაიჯანის საშინაო პოლიტიკისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ვხვდებით უფროს თაობაშიც.

ქვემო ქართლში, რეგიონული აქტორებიდან ყველაზე მეტად **თურქეთის** ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული საქმიანობა ჩანს. მიკრო დონეზე, აზერბაიჯანულიდან თურქეთისკენ გადახრის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადგილობრივ თემში თურქული არხების პოპულარობა. მათ თავიანთი პოპულარობით ჩაანაცვლეს აზერბაიჯანული არხები. ადგილობრივების აზრით, აზერბაიჯანული არხები იქ მმართველ პარტიას და ლიდერს უკრიტიკოდ აშუქებენ. თურქული არხები კი, მათი აზრით, უფრო მრავალფეროვანია. თურქულ არხებზე (მაგ. TRT Diyanet), ასევე ონლაინ მედიაში აქტიურად ხდება თურქეთის მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქება, ასევე, ისტორიული შინაარსის გადაცემების პოპულარიზაცია (ოსმალეთის ყოფილი ტერიტორიების, თურქეთის კულტურის შესახებ და ა.შ.)<sup>48</sup>. ყველაზე მეტი ინფორმაცია ქვემო ქართლში უფროს თაობას თურქეთში მიმდინარე მოვლენებზე აქვს. კვლევის მიხედვით, თუ ადგილობრივები აზერბაიჯანს აკრიტიკებენ, მაგალითად, იმის გამო, რომ წლების მანძილზე, ალიევი უცვლელად არის ხელისუფლების სათავეში და რომ პოლიტიკის კრიტიკის გამო, შეიძლება დაგაპატიმრონ, თურქეთის შემთხვევაში, იგივე შეფასება არ აქვთ. უფროს თაობას ერდოდანი მოსწონს, განსაკუთრებით, მისი რელიგიური პოლიტიკა. თურქეთის „კვალი“ უკვე უშუალოდ რეგიონში საქმიანობით

<sup>47</sup> კვლევის დროს, ყველა რესპონდენტი „აზერს“ უწოდებს აზერბაიჯანში მცხოვრებ აზერბაიჯანელს და არცერთ შემთხვევაში საქართველოში მცხოვრებს.

<sup>48</sup> საქართველოში „ნეო-ოტომანიზმის“ და პანთურქიზმის შესწავლა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი კვლევის საგანი. წინამდებარე კვლევაში ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესწავლილი.

ვლინდება რელიგიურ ორგანიზაციებთან მათი მჭიდრო კავშირით. მარნეულსა და გარდაბანში მედრესეების უმრავლესობა თურქეთში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების გახსნილია. მედრესეების უმრავლესობა სუნიტურია, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში შიიტები აღემატებიან სუნიტებს. მედრესეს და მეჩეთის საშუალებით, ახალგაზრდები ახერხებენ წავიდნენ თურქეთში თეოლოგიური განათლების მისაღებად. ამ არჩევანს დიდწილად განსაზღვრავს ისიც, რომ თურქეთში ისინი უფასოდ სწავლობენ და შეუძლიათ პარალელურად იმუშაონ.

## დასკვნა

ჩატარებულმა პირველადმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს აზერბაიჯანულ თემში მიმდინარეობს ახალი იდენტობის კონსტრუირების პროცესი. თემის წარმომადგენლებისთვის იდენტობის საკითხი ღია და ჯერ დაუსრულებელი პროცესია. კულტურული და ნაციონალური იდენტობის ძიებას კი სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმა აქვს. აზერბაიჯანული თემისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათი „მთავარი იდენტობა იყოს“ საქართველოს მოქალაქეობა და ამისათვის მზად არიან. მათთვის მისაღებია „ქართველობის“ და ქართული ნაციონალიზმის ისეთი შინაარსი, რომელიც არ ნიშნავს მხოლოდ ეთნიკურად ქართველობას და მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანობას. საქართველოს აზერბაიჯანელებში არის მზაობა და სურვილი, ეკუთვნოდნენ და აღიარებდნენ საქართველოს, როგორც პოლიტიკურ ერთობას. კვლევის მიგნებები აჩვენებს აზერბაიჯანულ თემში ქართულ ნაციონალურ პროექტში ჩაწერისა და აღიარების სურვილს. ეს გარემოება პოზიტიურად უნდა იყოს გამოყენებული ქართული სახელმწიფოსა და სხვა აქტორების მიერ, ადგილობრივი თემის ინტეგრაციისა და პოლიტიკური გაძლიერების მიზნით.

იდენტობის კონსტრუირების ეს პროცესი არსებითად ადგილზე დაწყებული ავთენტური სოციალური პროცესია და წლების განმავლობაში ინტეგრაციის და განათლების პოლიტიკის სოციალურ ეფექტად შეიძლება მივიჩნიოთ. მარნეულში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახალგაზრდის სიტყვები არის ილუსტრაცია იმ იდენტობის ფორმულისა, რომელიც დღეს გავრცელებულია ახალ თაობაში: *„ცოტა ხნის წინ, ბაქოში ვიყავი და აქ რომ დავბრუნდი, წითელი ხიდი რომ გავიარე, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. საქართველოში დავიბადე, ჩემი მშობლებიც აქ დაიბადნენ, ამიტომ ეს ადგილია ჩემი სამშობლო“.*

კვლევამ აჩვენა, რომ განათლების მიღების, ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესება კავშირშია აზერბაიჯანული თემის სამოქალაქო ცნობიერებასა და პოლიტიკურ ჩართულობასთან. ამასთან, სახეზე გვაქვს ახალ თაობაში განათლებისა და კრიტიკული ცოდნების წარმოების ახალი პროცესი. დღეს, აბიტურიენტების უმრავლესობა სწავლას აგრძელებს საქართველოს უნივერსიტეტებში. საშეღავათო პოლიტიკამ დადებითად იმოქმედა სწავლის გაგრძელების მოტივაციაზე და არჩევანზე. „1+4“ პროგრამას, ამ

ეტაპზე, სხვა ალტერნატივა არ აქვს და კიდევ უნდა გაგრძელდეს<sup>49</sup>. პროგრამის შედეგია, რომ მან არა მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტებისკენ შემოაბრუნა აბიტურიენტები, არამედ მან ზოგადად სწავლის გაგრძელების მოტივაციაზეც იმოქმედა.

ზოგადი განათლების პოლიტიკა ქვემო ქართლის რეგიონში მაინც გამოწვევად რჩება და ამ კუთხით, პოლიტიკის რადიკალური გაუმჯობესების ნიშნები არ ჩანს.

ეთნიკურად აზერბაიჯანელი პირების პოლიტიკური მონაწილეობა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაში სუსტია და ხშირად, ნომინალურ ხასიათს ატარებს, რაც ახალგაზრდა თაობაში ღრმა სოციალური გაღიზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს. ახალგაზრდები მოწადინებულნი არიან, დაბრუნდნენ რეგიონში, იმუშაონ საჯარო სამსახურში. თუმცა, იმავდროულად, ხედავენ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ქვემო ქართლში მიმართულია ადგილობრივ თემში კონტროლის და დამორჩილების მეთოდებზე, რაც სამომავლოდ ხელს შეუშლის თემის ინტეგრაციის პროცესს. მაშინ, როდესაც თემში ჩანს ქართული ენის სწავლისა და ქართულ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში ჩართვის მზარდი ინტერესი, აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან ემოციური ბმის შესუსტება, ადგილობრივი თემის სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დღეს, სუსტია პარტიული მუშაობა რეგიონში. პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები სუსტად ხვდება.

დღეს, აზერბაიჯანულ თემში განათლების საკითხი, პოლიტიკური ჩართულობა და კულტურული იდენტობის კონსტრუირების საკითხი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. დღეს, თემში მიმდინარე ახალი იდენტობის კონსტრუირება შეიძლება გახდეს ადგილობრივი თემის ინტეგრაციის ხელშემწყობი. მაშინ, როდესაც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი საკუთარ თავს აღიქვამს საქართველოს პოლიტიკური და ნაციონალური სივრცის ნაწილად, იმავეს ვერ ვხედავთ ქართულ საზოგადოებაში. ინტეგრაცია ვერ იქნება ცალმხრივი პროცესი. ის უნდა ეფუძნებოდეს „აღიარების პოლიტიკას“ და ქართული სახელმწიფოს მაკონსოლიდირებელ, ინკლუზიურ პოლიტიკურ იდეას. ამით რეალური გახდება აღნიშნული თემის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარიყულობის აღმოფხვრა.

## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობასა და რელიგვანტურ სახელმწიფო უწყებებს

#### პოლიტიკური მონაწილეობის საკითხები:

- ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი გახდეს პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები ცენტრალური და ადგილობრივი

<sup>49</sup> კვოტირების სისტემის შემოღება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით განისაზღვრა, როგორც დროებითი პოლიტიკა და მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლიდან 2018-2019 სასწავლო წლის ჩათვლით.

ხელისუფლების დონეებზე მათი წარმომადგენლობისა და რეალური მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობისთვის;

- ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების დროს, გათვალისწინებულ იქნას კვლევაში აღწერილი, აზერბაიჯანულ თემში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცვლილებები და ის იქნას გამოყენებული ინტეგრაციის ხელშეწყობ ფაქტორად;
- მთავრობამ, ასევე, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ხელი შეუწყონ საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების დასაქმებას სტაჟირების, გადამზადების, სახელმწიფო ენის გაძლიერების სპეციალური პროგრამების გამოყენების გზით.

### **განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები:**

- მომზადდეს არაქართულენოვან სკოლებში სწავლის ხარისხის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის და სასკოლო პროცესის შესახებ კვლევა, რათა იდენტიფიცირებულ იქნას სპეციფიკური პრობლემები და შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა;
- შემუშავდეს ეროვნული უმცირესობების განათლების პოლიტიკის დოკუმენტი და საჭიროებებსა და კვლევაზე დაფუძნებული, გაზომვადი სამოქმედო გეგმა, რომელიც გრძელვადიან სოციალურ ცვლილებებზე იქნება ორიენტირებული;
- სახელმძღვანელოს სტანდარტების და სახელმძღვანელოების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება და საკმარისად და სამართლიანად იყოს ის რეპრეზენტირებული. ტექსტები ორიენტირებული უნდა იყოს თანასწორობის პრინციპსა და ისტორიის კრიტიკულ გადააზრებაზე;
- გაიზარდოს ინფორმირებულობა რეგიონში აბიტურიენტებისთვის საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების **საშეღავათო პოლიტიკის (1+4)** შესახებ, ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები.
- სასურველია, არაქართულენოვანი და 1+4 პროგრამის სტუდენტთა წახალისება მასწავლებლის და განათლების პროგრამების არჩევისათვის;
- განათლების, მეცნიერების, კულტურის, და სპორტის სამინისტრომ მხარი დაუჭიროს სკოლებში არაფორმალურ განათლებას. ამისათვის, გათვალისწინებულ იქნას წარსული გამოცდილება თუ რა საგანმანათლებლო-კულტურული აქტივობები იყო განსაკუთრებით ეფექტური;
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ინიცირება გაუკეთოს და მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მიმართული იქნება ქართული ენის გაუმჯობესების, ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ და კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენისკენ;
- მნიშვნელოვანია, ახალი კადრების ძიებისა და გამოვლენისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, **ახალგაზრდა პროფესიონალების წახალისება** და მხარდაჭერა ამ პროცესში;
- რეგიონში არსებული მაღალი ინტერესის და მოტივაციის გამო, გაიხსნას/მხარდაჭერილ იქნას სპორტული სკოლები/დარბაზები.

### **კულტურული თვითმყოფადობის საკითხები:**

- ქვემო ქართლში სოფლებისთვის ქუჩების, სკვერების და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების სახელდების დროს, გათვალისწინებული იყოს აზერბაიჯანული თემის ისტორიული მემკვიდრეობა და მხარის კულტურული კონტექსტი, არ მოხდეს აზერბაიჯანული კულტურის უგულვებელყოფა;
- მუნიციპალიტეტების და სოფლების დონეზე მოხდეს საჯარო ბიბლიოთეკების სისტემების და ინფრასტრუქტურის გამართვა და მისი პოპულარიზაცია;

### ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

- ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა დასაქმება, მათ შორის, წამყვან პოლიტიკურ თანამდებობებზე ეთნიკური უმცირესობების წარდგენის პრაქტიკა;
- ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებაში უზრუნველყონ ადგილობრივი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, მათ შორის, ენის ბარიერთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზით (საჯარო ინფორმაციის უმცირესობების ენაზე თარგმნა, ადგილზე თარჯიმნის რესურსის გაჩენა და ა.შ.);
- გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა, მონაწილეობა და დასაქმება ადგილობრივ ორგანოებსა და პოლიტიკაში.

### პოლიტიკურ პარტიებს

- მნიშვნელოვანია, მოხდეს **პოლიტიკური პარტიებისა** და სხვა ჯგუფების რიტორიკაში მაკონსოლიდირებელი და ეთნიკური უმცირესობების ინკლუზიაზე, აღიარებასა და პატივისცემაზე ორიენტირებული შინაარსის გაძლიერება;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გააძლიერონ პარტიების მუშაობა, პარტიების პროგრამებში სათანადოდ აისახოს ეროვნული უმცირესობების საჭიროებები, რეალური წუხილები და უფლებებთან დაკავშირებული პრობლემატიკა;
- პარტიებმა პროპორციული სიების შემუშავების დროს, გაითვალისწინონ საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება და მაქსიმალურად ხელი შეუწყონ უმცირესობას მიკუთვნებული ჯგუფების მონაწილეობას პოლიტიკაში.

### მედიასაშუალებებს

- ქვემო ქართლში პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების გაშუქების დროს გათვალისწინებულ იქნას მხარის კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება;
- მედიასაშუალებების ინტერესი რეგიონის სოციალური და პოლიტიკური გამოწვევების მიმართ ამაღლდეს და მოხდეს ადგილზე მათი მუშაობის უკეთესი ორგანიზება.

### უნივერსიტეტებს და სხვა აკადემიურ ინსტიტუტებს

- მოხდეს ეთნიკური უმცირესობების ისტორიასთან და დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებული კრიტიკული კვლევებისა და აკადემიური დისკუსიების წახალისება;
- '1+4' პროგრამის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელება საჯარო სკოლებსა და აბიტურიენტების წრეებში. კომუნიკაციის პროცესში ადგილობრივი სპეციფიკის, საჭიროებების და გამოწვევების გათვალისწინება;
- უნივერსიტეტებმა გაზარდონ მულტიკულტურული და სამოქალაქო განათლების მხარდამჭერი პოზიტიური პროგრამები ეთნიკურ უმცირესობას, ასევე უმრავლესობას მიკუთვნებული სტუდენტებისთვის.